

შპს „ბორჯომი ვოთერსი“

2021 წლის ფინანსური ანგარიშგება

შპს „ბორჯომი ვოთერსი“

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება/ ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება	5
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	6
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	7

შპს „ბორჯომი ვოთერსი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ლარი	შენიშვნები	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	870,868	840,104
არამატერიალური აქტივები		20,655	19,849
გრძელვადიანი აქტივები		891,523	859,953
მარაგები		321,192	12,388
სხვა მოკლევადიანი აქტივები	7	886,821	945,921
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		172,639	139,863
გაცემული ავანსები		34,686	41,396
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	8	367,935	255,413
მიმდინარე აქტივები		1,783,273	1,394,979
სულ აქტივები		2,674,796	2,254,932
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	9	380,000	380,000
დაგროვილი მოგება/ ზარალი		1,808,740	1,633,029
სულ კაპიტალი		2,188,740	2,013,029
ვალდებულებები			
სალიზინგო ვალდებულებები		162,733	150,827
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		162,733	150,827
სავაჭრო კრედიტორული ვალდებულებები		170,441	52,688
სხვა ვალდებულებები		152,882	38,388
მიმდინარე ვალდებულებები		323,323	91,076
სულ ვალდებულებები		486,056	241,903
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		2,674,796	2,254,932

გენერალური დირექტორი

შპს „ბორჯომი ვოთერსი“

2021 წლის მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

ლარი	შენიშვნები	2021	2020
შემოსავალი	10	2,928,909	2,467,267
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება		(1,076,160)	(936,350)
მთლიანი მოგება		1,852,749	1,530,917
ლოგისტიკის ხარჯები		(268,270)	(214,856)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	11	(1,399,374)	(1,257,505)
უცხოური ვალუტის გაცვლის ზარალი/შემოსულობა		6,765	(28,826)
სხვა შემოსავალი (ხარჯი)		18,663	(73,931)
საოპერაციო საქმიანობის შედეგები		(1,642,216)	(1,575,118)
ფინანსური შემოსავალი		-	-
ფინანსური ხარჯი		(34,821)	(11,413)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		175,712	(55,614)
მოგების გადასახადი		-	-
მოგება/(ზარალი) უწყვეტი ოპერაციებიდან		175,712	(55,614)
სხვა სრული შემოსავალი		-	-
პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი		175,712	(55,614)

გენერალური დირექტორი

შპს „ბორჯომი ვოთერსი“

2021 წლის კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება

ლარი	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი მოგება/ზარალი	ჯამი
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერი	380,000	1,688,644	2,068,644
პერიოდის შედეგი	-	(55,614)	(55,614)
სხვა სრული შემოსულობები	-	-	-
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერი	380,000	1,633,030	2,013,030
პერიოდის შედეგი	-	175,712	175,712
სხვა სრული შემოსულობები	-	-	-
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერი	380,000	1,808,741	2,188,741

გენერალური დირექტორი

შპს „ბორჯომი ვოთერსი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები - 2021 წლის 31 დეკემბერი

ლარი	შენიშვნა	2021	2020
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან			
კლიენტებისგან მიღებული ფულადი სახსრები		3,356,360	2,841,840
გადახდები მომწოდებლების მიმართ		(1,876,032)	(1,519,215)
გადახდები დაქირავებული პირებისთვის		(714,575)	(650,225)
საგადასახადო გადახდები მოგების გადასახადის გარდა		(390,278)	(345,210)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან		375,474	327,190
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობებიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(216,404)	(187,171)
არამატერიალური აქტივების შეძენა		(9,824)	-
საინვესტიციო საქმიანობებში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(226,228)	(187,171)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობებიდან			
სესხების და კრედიტების დაფარვა		(34,821)	-
გაცემული სესხები		-	-
წმინდა ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობებიდან		(34,821)	-
წმინდა მატება/(კლება) ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში		114,425	140,019
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 1 იანვარს		255,413	115,413
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(1,902)	(19)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 31 დეკემბერს	8	367,935	255,413

გენერალური დირექტორი

1. კომპანია და მისი საქმიანობა

კომპანია დაფუძნდა 2000 წლის 29 ივნისს და მდებარეობს საქართველოში. კომპანია შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც დაარსებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ საიდენტიფიკაციო ნომრით: 226146872.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ერთადერთი მფლობელია უცხოური საწარმოს ფილიალი აიდიეს ბორჯომი საქართველო, შპს აიდიეს ბორჯომი ბევერიჯიზ კომპანის საქართველოს ფილიალი.

ძირითადი საქმიანობა. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს „ბორჯომისა“ და „ბაკურიანის“ მინერალური და სასმელი წყლების გაყიდვა/დისტრიბუცია მთელი საქართველოს მასშტაბით.

რეგისტრირებული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის რეგისტრირებული მისამართია საქართველო, ქ. ბორჯომი, თორის ქ.#39. საქმის წარმოების ძირითადი ადგილი არის ქ თბილისი, პეტრე სარაჯიშვილის ქ. #11.

წარსადგენი ვალუტა საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი („ლარი“), რომელიც წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას და ასევე ვალუტას, რომელშიც წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია.

2. კომპანიის საოპერაციო გარემო

კომპანია საქმიანობას საქართველოში ახორციელებს. საქართველოს განვითარებადი ეკონომიკის გარკვეული მახასიათებლები აქვს, მათ შორის შედარებით მაღალი ინფლაციის დონე და მაღალი საპროცენტო განაკვეთები. ქართული საგადასახადო კანონმდებლობა სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება და ხშირ ცვლილებებს განიცდის. საქართველოს სამომავლო ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე. ხელმძღვანელობას არ აქვს საშუალება ზუსტად იწინასწარმეტყველოს მოვლენათა ყველა შესაძლო განვითარება, რომელსაც შეიძლება გავლენა ჰქონდეს საქართველოს ეკონომიკაზე და შესაბამისად ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ის მიმართავს ყველა საჭირო ღონისძიებას კომპანიის ბიზნესის მდგრადობისა და განვითარების მხარდასაჭერად.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის რეზიუმე

მომზადების საფუძველი. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან (მსს ფასს სტანდარტი) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობაში.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთის თანხით ან გაუფასურების ანარიცხებით. უმნიშვნელო რემონტისა და ყოველდღიური საექსპლუატაციო დანახარჯები გაწევისთანავე აისახება ხარჯებში. ძირითადი საშუალების მნიშვნელოვანი ნაწილების ან კომპონენტების შეცვლის დანახარჯები კაპიტალიზდება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა

აფასებს, არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ინდიკატორი. თუ მსგავსი ინდიკატორი არსებობს, ხელმძღვანელობა აფასებს ანაზღაურებად ღირებულებას, რომელიც განისაზღვრება გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალურ ღირებულებასა და მისი გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესით. საბალანსო ღირებულება მცირდება ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი აღიარდება მოცემული წლის მოგება-ზარალში. აქტივისთვის გასულ წლებში აღიარებული გაუფასურების ზარალი ანულირდება, როდესაც შესაფერისია, თუ მოხდა აქტივის გამოყენების ღირებულების ან რეალური ღირებულების, შემცირებული გაყიდვის დანახარჯებით, განსაზღვრისას გამოყენებული შეფასებების ცვლილებები. ძირითადი საშუალებების გასვლიდან მიღებული შემოსულობები და ზარალი განისაზღვრება შემოსული თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით და აღიარდება მოცემული წლის მოგება-ზარალში და სხვა სრულ შემოსავალში „სხვა არასაოპერაციო შემოსავალში/(ხარჯებში), წმინდად“.

ცვეთა. მიწას ცვეთა არ ერიცხება. სხვა ძირითადი საშუალებების ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით მათი ღირებულების ან გადაფასებული თანხების ნარჩენი ღირებულების გადასანაწილებლად მათ დარჩენილ სასარგებლო მომსახურების ვადაზე:

- | | |
|-------------------------------|------------|
| • შენობა-ნაგებობები | 2-20 წელი; |
| • მანქანები და აღჭურვილობა | 5 წელი; |
| • ავტომობილები | 5 წელი; |
| • ოფისის ავეჯი და აღჭურვილობა | 4 წელი; |

ცვეთის მეთოდების, სასარგებლო მომსახურების ვადისა და ნარჩენი ღირებულების გადახედვა ხორციელდება ყოველ ფინანსურ წელს და საჭიროებისამებრ კორექტირდება.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. აქტივებს, რომლებსაც ერიცხება ცვეთა და ამორტიზაცია, გაუფასურებაზე აფასებენ მაშინ, როდესაც მოვლენების ან გარემოებების ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აღიარდება იმ თანხის ოდენობით, რა თანხითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულება არის აქტივის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალურ ღირებულებასა და მის გამოყენებით მისაღებ ღირებულებას შორის უდიდესი. გაუფასურების შეფასების მიზნებისათვის აქტივები დაჯგუფებულია ყველაზე დაბალ დონეზე, რომელ დონეზეც ხდება დამოუკიდებელი ფულადი ნაკადების შემოსვლა (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულები). ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ხდება არაფინანსური აქტივების ადრინდელი გაუფასურებების გადახედვა მასში შესაძლო კორექტირების გამოვლენის მიზნით.

ფინანსური აქტივები - პირველადი აღიარებისას, ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება ისევე როგორც აღირიცხება: ამორტიზირებული ღირებულებით; სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - ვალის ინვესტიცია; სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - კაპიტალის ინვესტიცია; ან სამართლიანი ღირებულებით მოგება ან ზარალში ასახვით.

პირველადი აღიარების შემდგომ ფინანსური აქტივები არ ექვემდებარება რეკლასიფიკაციას, მანამ სანამ კომპანია არ შეცვლის ფინანსური აქტივების აღრიცხვის ბიზნეს მოდელს, რა შემთხვევაშიც ყველა ჩართული ფინანსური აქტივი რეკლასიფიცირებულია ბიზნეს მოდელის ცვლილების შემდგომ პირველი სააღრიცხვო პერიოდის პირველივე დღეს.

ფინანსური აქტივი აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით თუ ის აკმაყოფილებს შემდგომ მოყვანილ ოროივე პირობას და არ არის გამიზნული როგორც სამართლიანი

ღირებულებით მოგება ან ზარალში ასახვით შეფასებული:

- აქტივი განეკუთვნება ბიზნეს მოდელს რომლის მიზანიც არის აქტივების შენახვა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შესაგროვებლად; და
- მისი სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს რომელიც მხოლოდ ძირი თანხისა და დაუფარავ ძირ თანხაზე დაგროვილი პროცენტის გადახდას წარმოადგენს.

ვალის ინვესტიცია შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, თუ ის აკმაყოფილებს ქვემოთ მოცემულ ორივე პირობას და არ არის გამიზნული როგორც სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული:

- აქტივი განეკუთვნება ბიზნეს მოდელს რომლის მიზანიც არის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შეგროვება და ფინანსური აქტივების გაყიდვა; და
- მისი სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს რომელიც მხოლოდ ძირი თანხისა და დაუფარავ ძირ თანხაზე დაგროვილი პროცენტის გადახდას წარმოადგენს.

ყველა ფინანსური აქტივი რომელიც არ კლასიფიცირდება ამორტიზირებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრული შემოსავალში ასახვით, როგორც ზემოთ ავლნიშნეთ, აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

ფინანსური ვალდებულებები – კლასიფიკაცია, შემდგომი შეფასება და შემოსულობა და ზარალი

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება ისევე როგორც აღირიცხება - ამორტიზირებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. ფინანსური ვალდებულება კლასიფიცირდება სამართლიანი ღირებულებით მოგება ზარალში ასახვით თუ ის არის სავაჭროდ გამიზნული, წარმოებულია ან გამიზნულია ესეთად პირველადი აღიარებისას. სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით აღიარებული ფინანსური ვალდებულებები აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით და წმინდა მოგებით და ზარალით, ნებისმიერი საპროცენტო ხარჯის ჩათვლით, და აღიარებულია მოგება ან ზარალში. სხვა ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. საპროცენტო ხარჯი და უცხოური გაცვლითი კურსიდან მოგება და ზარალი აღიარდება მოგება ან ზარალის ანგარიშგებაში. ნებისმიერი მოგება ან ზარალი აღიარების შეწყვეტისას ასევე აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივები – რეკლასიფიკაცია. ფინანსური აქტივები მხოლოდ მაშინ რეკლასიფიცირდება, როდესაც პორტფელის მართვის ბიზნეს მოდელი მთლიანად იცვლება. რეკლასიფიკაციას პერსპექტიული გავლენა აქვს და ტარდება ბიზნეს მოდელის შეცვლიდან პირველი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისიდან. საწარმოს არ შეუცვლია თავისი ბიზნეს მოდელი მიმდინარე და შესადარის პერიოდებში და არ განუხორციელებია რეკლასიფიკაცია.

ფინანსური აქტივები – ჩამოწერა. ფინანსური აქტივები მთლიანად ან ნაწილობრივ ჩამოიწერება, როდესაც კომპანია ამოწურავს თანხის ამოღების ყველა პრაქტიკულ შესაძლებლობას და დაასკვნის, რომ აღარ არსებობს თანხის ამოღების გონივრული მოლოდინი. ჩამოწერა წარმოადგენს აღიარების შეწყვეტას. კომპანიამ შეიძლება ჩამოწეროს ფინანსური აქტივები, რომელთა მიმართ აღსრულების ღონისძიებები ჯერ კიდევ ხორციელდება, როდესაც კომპანია ცდილობს იმ თანხების ამოღებას, რომელთა გადახდის სახელშეკრულებო უფლება არსებობს, თუმცა, არ არსებობს ამოღების გონივრული მოლოდინი.

ფინანსური აქტივები - აღიარების შეწყვეტა. კომპანია ფინანსური აქტივების აღიარებას წყვეტს,

როდესაც (ა) მოხდა აქტივების გამოსყიდვა ან მათთან დაკავშირებულ ფულად ნაკადებზე უფლებას ვადის გასვლა ან (ბ) კომპანიამ სხვას გადასცა ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან დადო გარიგება, რომლითაც (i) აგრეთვე გადასცა აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული რისკი და უკუგება ან (ii) საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და უკუგება არც გადაცემულია და არც შენარჩუნებულია, მაგრამ კონტროლი არ არის შენარჩუნებული. კომპანია გადაცემულ აქტივზე კონტროლს ინარჩუნებს, თუ მიმღებ სუბიექტს არ გააჩნია გადაცემული აქტივის გაყიდვის პრაქტიკული შესაძლებლობა არადაკავშირებულ მესამე მხარეზე და, აქტივის გადაცემაზე ყოველგვარი დამატებითი შეზღუდვების დაწესების გარეშე

ფინანსური ვალდებულებები – აღიარების შეწყვეტა. ფინანსური ვალდებულებების აღიარება შეწყდება, როდესაც ისინი დაიფარება (ანუ როდესაც ხელშეკრულებაში მითითებული ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ვადა ამოწურება). ვალდებულებების მოდიფიკაცია, რომელიც არ იწვევს ვალდებულების დაფარვას, აღირიცხება, როგორც შეფასების ცვლილება, კუმულაციური ამოქაჩვის („catch up“) მეთოდით, შემოსულობის ან ზარალის მოგებაზარალში ასახვით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საბალანსო ღირებულებებს შორის სხვაობა ეკონომიკური შინაარსით მიეკუთვნება მფლობელების კაპიტალთან დაკავშირებულ ოპერაციას.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგადაფარვა. ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა ხდება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს აღიარებული თანხების იურიდიულად აღსრულებადი უფლება და არსებობს ნეტო საფუძველზე ანგარიშსწორების ან ერთდროულად აქტივის რეალიზებისა და ვალდებულების ანგარიშსწორების განზრახვა. ურთიერთ გადაფარვის მსგავსი უფლება: (ა) არ უნდა იყოს დამოკიდებული რაიმე სამომავლო მოვლენაზე და (ბ) იურიდიულად აღსრულებადი უნდა იყოს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილ გარემოებებში: (i) ჩვეულებრივი ბიზნესსაქმიანობისას, (ii) დეფოლტის შემთხვევაში და (iii) გადახდის უნარობის ან გაკოტრების შემთხვევაში.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და თანხას სხვადასხვა ბანკებში. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით, რადგან: (i) არსებობს სახელშეკრულებო და იმ ფულადი ნაკადის მიღებისთვის, რომელიც მხოლოდ ძირითადი და პროცენტის თანხების გადახდას („SPPI“) წარმოადგენს, და (ii) მათ მინიჭებული არა აქვთ რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით შეფასებულის კატეგორია („FVTPL“). მახასიათებლებს, რომლებიც მხოლოდ კანონმდებლობით განისაზღვრება, როგორიცაა მაგალითად სავალო ვალდებულებების რესტრუქტურის კანონმდებლობა გარკვეულ ქვეყნებში, გავლენა არა აქვს მხოლოდ ძირითადი და პროცენტის თანხების გადახდაზე. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტებისაგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მომზადების მიზნებისათვის. ნაშთები, რომელთა გადაცვლაზე ან რომელთა მეშვეობით ვალდებულების ანგარიშსწორებაზე საანგარიშგებო პერიოდის ბოლოდან მინიმუმ თორმეტ თვიანი შეზღუდვა მაინც არსებობს, აისახება სხვა გრძელვადიან აქტივებში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო მოთხოვნები აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდგომში აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. სავაჭრო დავალიანების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტი ასრულებს თავის მოვალეობებს ხელშეკრულების ფარგლებში და იგი თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, შემდეგ კი ამორტიზებული

ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. კომპანიის სავაჭრო დავალიანებები არ არის უზრუნველყოფილი და შედგება ძირითადად მეკავშირე მხარეებისგან შეძენილი გადასაყიდი საქონლისაგან.

იჯარა - კომპანია იჯარით იღებს საწყობსა და საოფისე ფართს. ქირავნობის ხელშეკრულება ფიქსირებულ პერიოდებზე კეთდება 1-5 წლით, მაგრამ შესაძლებელია ჰქონდეთ გაგრძელების ოფცია. იჯარის პირობები მოილაპარაკება ინდივიდუალურ საფუძველზე და მოიცავს სხვადასხვა პირობების და მდგომარეობების ფართო სპექტრს. იჯარა აღიარდება აქტივის გამოყენების უფლებით და როგორც შესატყვისი ვალდებულება იმ თარიღით, როდესაც იჯარით გადაცემული აქტივი კომპანიის მიერ გამოყენებისთვის ხელმისაწვდომია. ყოველი იჯარის გადახდა გადანაწილდება ვალდებულებას და საფინანსო ხარჯებს შორის. საფინანსო დანახარჯები დაირიცხება მოგებაში ან ზარალში იჯარის ვადების განმავლობაში, იმისათვის, რომ უზრუნველყოს მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების ნარჩენ ნაშთებზე ყოველი პერიოდისთვის. აქტივებს, გამოყენების უფლებით, ერიცხებათ ცვეთა უფრო მოკლე სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე აქტივებისთვის და იჯარის პირობისთვის წრფივი მეთოდით. იჯარიდან წარმოქმნილი აქტივები და ვალდებულებები თავდაპირველად ფასდება ამჟამინდელი ღირებულების საფუძველზე. იჯარის ვალდებულებები მოიცავს შემდგომი იჯარის გადახდების წმინდა ამჟამინდელ ღირებულებას, მათ შორის: ფიქსირებული გადახდები (მოიცავს არსებითად ფიქსირებულ გადახდებს), შემცირებული ნებისმიერი იჯარის წახალისების მოთხოვნით; ინდექსზე ან განაკვეთზე დაფუძნებული იჯარის ცვლადი გადახდები; თანხები, რომელიც მოიჯარის მიერ არის გადასახდელი ნარჩენი ღირებულების გარანტიით; შეძენის ოფციონის შესრულების ფასი, თუ მოიჯარე გონივრულად დარწმუნებულია ამ ოფციონის შესრულებაზე და იჯარის შეწყვეტისთვის დაკისრებული ჯარიმების გადახდა, თუ იჯარის პირობები ასახავს მოიჯარის ამ ოფციონის შესრულებას. იჯარის გადახდები დისკონტირდება იჯარაში გათვალისწინებული საპროცენტო განაკვეთით, იმ შემთხვევაში, თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა შესაძლებელია ან კომპანიის ნაზრდი სასესხო განაკვეთით. აქტივები გამოყენების უფლებით ფასდება თვითღირებულებით და მოიცავს შემდეგს: იჯარის ვალდებულების თავდაპირველი შეფასების თანხას; ნებისმიერ იჯარის გადახდას, რომელიც განხორციელდა დაწყების თარიღით ან მანამდე, შემცირებული ნებისმიერი მიღებული იჯარის წახალისებით; ნებისმიერ თავდაპირველ პირდაპირ ხარჯებს და აღდგენის ხარჯებს. გადახდილი ავანსები, რომლებიც დაკავშირებულია მოკლევადიან იჯარასთან და დაბალფასიანი, სწრაფადცვეთადი აქტივების იჯარასთან აღიარდება წრფივი მეთოდის გამოყენებით, როგორც დანახარჯი, მოგებაში ან ზარალში. მოკლევადიანი იჯარის იჯარაა, რომელსაც გააჩნია 12 თვეზე ნაკლები იჯარის პირობა. იჯარის ვადის გაგრძელების ან შეწყვეტის ოფციები მოიცავს ძირითადი საშუალებების იჯარების გარკვეულ რაოდენობას კომპანიაში. ეს პირობები გამოყენებულია საოპერაციო მოქნილობის მაქსიმუმაციისთვის ხელშეკრულებების მართვისას. ვადის გაგრძელების ან იჯარის შეწყვეტის ფლობილი ოფციების უმეტესობა შესრულებადია მხოლოდ კომპანიის მიერ და არა შესაბამისი მეიჯარის მიერ. იჯარის პირობის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ყველა ფაქტსა და გარემოებას, რომელიც ქმნის ვადის გაგრძელების ოფციის შესრულების მოტივს, და არა იჯარის შეწყვეტის შესრულების ოფციას. ვადი გაგრძელების ოფციები (ან იჯარის შეწყვეტის შემდგომი პერიოდების ოფციები) იჯარის პირობებში მხოლოდ მაშინ იქნება შეტანილი, თუ არსებობს გონივრული რწმუნება იმისა, რომ იჯარა გაგრძელდება (ან არ შეწყდება). შეფასება გადაიხედება თუ მოხდება რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა ან გარემოების მნიშვნელოვანი ცვლილება, რომელიც ამ შეფასებაზე გავლენას მოახდენს და რაც იჯარის კონტროლის ფარგლებშია.

მოგების გადასახადი. მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია ძალაში შესული ლი კანონმდებლობის შესაბამისად. 2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვითაც კომპანიებს (ბანკების, საკრედიტო დაწესებულებების, სადაზღვეო კომპანიების და ლომბარდების გარდა)

2017 წლის 1 იანვრიდან არ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდის სახით ან არ ჩაითვლება განაწილებულად. ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემის მომენტში ხდება 15% მოგების გადასახადის დარიცხვა ‘აგროსილ’ ღირებულებაზე (მაგ. წმინდა დივიდენდები ‘აიგროსება’ შემადგენელი 5%-იანი გადასახადით, საჭიროებისამებრ, და გაიყოფა 0.85-ზე). მიღებული მოგებიდან რეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემა 2017 წლის 1 იანვრიდან თავისუფლდება მოგების გადასახადისგან.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებიდან გაცემული დივიდენდები იბეგრება მოგების გადასახადით გამოანგარიშებამდე მთლიანი მოგების დადგენილ ღირებულებაზე, რომელიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო ჩათვლით, რომელიც ითვლება როგორც დასაბეგრ მოგებაზე გამოცხადებული და გადახდილი მოგების გადასახადის წილი იმავე წლის მთლიან წმინდა მოგებაში, გამრავლებული გასაცემ დივიდენდებზე. აღსანიშნავია, რომ საგადასახადო ჩათვლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილ რეალურ მოგების გადასახადს.

დივიდენდების განაწილების შედეგად წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები, მიუხედავად ფაქტიურად გადახდის თარიღისა, ან იმ პერიოდში, როდესაც განხორციელდა დივიდენდების გადახდა. პირობითი საშემოსავლო საგადასახადო ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნებოდა დივიდენდების გადახდისას, არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

დივიდენდების განაწილების გარდა გადასახადი გადასახდელია იმ ხარჯებსა და სხვა გადახდებზე, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი ეკონომიკურ საქმიანობასთან - აქტივების ან მომსახურების უფასო მიწოდება და წარმომადგენლობითი დანახარჯები, რაც აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მაქსიმალურ თანხას. ყველა გადახდილი ავანსი საწარმოებზე, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან პრივილეგირებული საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში და სხვა გარკვეული ოპერაციები მსგავს საწარმოებთან, ისევე როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები, მაშინვე დაბეგვრადია. მსგავსი გადასახადები, სხვა გადასახადებთან ერთად, პრივილეგირებული საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტრირებული საწარმოებისაგან აღნიშნული გადახდილი ავანსის სანაცვლოდ მიღებულ აქტივებზე ან მომსახურებებზე მოთხოვნილი საგადასახადო კრედიტის გამოკლებით, ან ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტებზე გაცემული სესხების ამოღების გამოკლებით, აღირიცხება „გადასახადებში, მოგების გადასახადის გარდა“ „საერთო და ადმინისტრაციული დანახარჯების“ ნაწილში.

მარაგები. მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდის საფუძველზე.

საწესდებო კაპიტალი. კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. ცვლილებები კომპანიის წესდებაში უნდა განხორციელდეს მხოლოდ კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილების საფუძველზე.

დივიდენდები. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და გამოიქვითება კაპიტალიდან იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადდება და დამტკიცება.

ამონაგების აღიარება. ამონაგები არის შემოსავალი, რომელიც წარმოიქმნება კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობისას. ამონაგები აღიარდება გარიგების ფასით. გარიგების ფასი არის ანაზღაურება, რომლის მიღებასაც კომპანია მოელის დაპირებულ საქონელზე ან მომსახურებაზე

მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის შედეგად, მესამე მხარის სახელით ამოღებული თანხების გარეშე.

ამონაგები აღიარდება ფასდათმობების, დაბრუნებებისა და დღგ-ს გარეშე.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები. ხელფასის, სარგოს, ანაზღაურებადი შვებულებისა და ბიულეტენის, ბონუსებისა და არაფულადი სარგებელის დარიცხვა ხორციელდება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა დაკავშირებული მომსახურება კომპანიის თანამშრომლების მიერ. კომპანიას არ გააჩნია იურიდიული ან კონსტრუქციული მოვალეობა, რომ განახორციელოს საპენსიო ან მსგავსი სარგებლის გადახდები.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

კომპანია აკეთებს შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებებში ასახულ თანხებსა და მომდევნო ფინანსური წლისათვის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე. შეფასებების და განსჯის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა იყენებს აგრეთვე განსჯას, შეფასებებთან ერთად, სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. განსჯა, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებებში ასახულ თანხებზე და მომდევნო ფინანსური წლის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე, მოიცავს შემდეგს

დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციების საწყისი აღიარება. ჩვეულებრივი საქმიანობისას კომპანია ახორციელებს ოპერაციებს თავის დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების საწყისი აღიარებას მათი რეალური ღირებულების საფუძველზე. როდესაც არ არსებობს აქტიური ბაზარი მსგავსი ოპერაციებისათვის, განსჯა გამოიყენება იმის განსაზღვრისათვის, გარიგებები ხორციელდება საბაზრო თუ არასაბაზრო საპროცენტო განაკვეთებით.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივებში განივთებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი, ძირითადად, გამოყენებისას მოიხმარება. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა, მაგალითად ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად იწვევს აქტივებში განივთებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას.

ხელმძღვანელობამ დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადები შეაფასა აქტივების ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობის და იმ პერიოდის შესაბამისად, რომლის განმავლობაში მოსალოდნელია, რომ აქტივები სარგებელს გამოიმუშავებენ კომპანიისათვის. გათვალისწინებულ იქნა შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებსა და მოვლა-შენახვის პროგრამაზე; და (გ) საბაზრო პირობების ცვლილებებით გამოწვეული ტექნიკური ან კომერციული მოძველება.

5. ახალი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება

ქვემოთ ჩამოთვლილი სტანდარტები, რომლებშიც ცვლილებები შევიდა, ძალაშია 2019 წლის 1 იანვრიდან, მაგრამ მათ არსებითი გავლენა არ ჰქონია ჯგუფზე:

- ფასიკ 23 "განუსაზღვრელობა მოგების გადასახადის აღრიცხვასთან დაკავშირებით" (გამოცემულია 2017 წლის 7 ივნისს, ძალაშია 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).
- ავანსის მახასიათებლები უარყოფითი კომპენსაციით - ცვლილებები ფასს 9-ში (გამოცემულია 2017 წლის 12 ოქტომბერს, ძალაშია 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის)
- ცვლილებები ბასს 28-ში "გრძელვადიანი წილი მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში" (გამოცემულია 2017 წლის 12 ოქტომბერს, ძალაშია 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).
- ფასს-ების წლიური გაუმჯობესებების 2015-2017 წწ. ციკლი - ცვლილებები ფასს 3-ში, ფასს 11-ში, ბასს 12-სა და ბასს 23-ში (გამოცემულია 2017 წლის 12 დეკემბერს, ძალაშია 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).
- ცვლილებები ბასს 19-ში „სქემის ცვლილება, შემცირება ან ანგარიშსწორება“ (გამოცემულია 2018 წლის 7 თებერვალს, ძალაშია 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

6. ძირითადი საშუალებები

ქვემოთ ცხრილში მოცემულია ინფორმაცია ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებების ცვლილების შესახებ:

ლარი	მიწა და შენობები	მანქანები და ალჭურვილო ბა	ავტომობ ილები	ოფისის ავეჯი და კომპიუტერული ალჭურვილობა	ჯამი
თვითღირებულება:					
2020 წლის 1 იანვარს	111,000	1,120,740	379,548	74,319	1,685,607
შეძენა	98,216	152,053	-	4,142	254,411
გასვლა					
2020 წლის 31 დეკემბერს	209,216	1,272,793	379,548	78,461	1,940,018
შეძენა		268,753	218,870	22,724	510,346
					254,411
გასვლა	-	(300,330)	-	-	(300,330)
2021 წლის 31 დეკემბერს	209,216	1,241,216	598,418	101,185	2,150,034
დაგროვილი ცვეთა:					
2020 წლის 1 იანვარს	-	(582,803)	(232,463)	(53,529)	(868,795)
ცვეთის ხარჯი	-	(169,909)	(52,825)	(8,387)	(231,121)
გასვლა					-

შპს „ბორჯომი ვოთერსი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები - 2021 წლის 31 დეკემბერი

ლარი	მიწა და შენობები	მანქანები და აღჭურვილობა	ავტომობ ილები	ოფისის ავეჯი და კომპიუტერული აღჭურვილობა	ჯამი
2020 წლის 31 დეკემბერს	-	(752,712)	(285,288)	(61,916)	(1,099,916)
ცვეთის ხარჯი	(51,072)	(211,340)	(84,999)	(8,075)	(355,487)
გასვლა	-	176,275	-	-	176,275
2021 წლის 31 დეკემბერს	(51,072)	(787,816)	(370,287)	(69,991)	(1,279,168)
საბალანსო ღირებულება					
2020 წლის 31 დეკემბერს	209,216	520,081	94,260	16,545	840,102
2021 წლის 31 დეკემბერს	158,144	453,399	228,130	31,193	870,866

7. სხვა მოკლევადიანი აქტივები

ლარი	31-Dec-21	31-Dec-20
ტარა (ბალონი)	886,821	713,977
შესაფუთი მასალები	-	145,074
სხვა აქტივები	-	86,869
ჯამი:	886,821	945,920

8. ფული და ფულის ექვივალენტები

ლარი	31-Dec-21	31-Dec-20
ფული სალაროში	11,350	76,626
ფული საბანკო ანგარიშებზე	356,585	178,786
ჯამი:	367,935	255,413

9. საწესდებო კაპიტალი

კომპანიის წესდების მიხედვით, საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია 380 ათასი ლარის ოდენობით.

შპს „ბორჯომი ვოთერსი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები - 2021 წლის 31 დეკემბერი

10. შემოსავალი რეალიზაციიდან

ლარი	31-Dec-21	31-Dec-20
გასაყიდი საქონელი	2,629,632	2,126,033
სხვა	299,277	341,234
ჯამი:	2,928,909	2,467,267

11. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

ლარი	31-Dec-21	31-Dec-20
დასაქმებულთა ანაზღაურება	964,429	873,293
ცვეთა/ამორტიზაცია	364,506	236,954
სხვა საოფისე ხარჯები	70,438	147,259
ჯამი:	1,399,374	1,257,505